კობა წაქაძეს—ბრინჯაოს მედალი

ზაკოპანე, 26 იანვარი. აქ დიდ ინტერესს იწვევს მეგობრული არმიების ზამთრის III სპარტაკიადა. დღეს მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს საბჭოთა მოთხილამურეებმა — სასტაფეტო რბოლაში მსოფლიო ჩემპიონებმა ვ. ტარაკანოვმა და ვ. ვორონკოვმა. მათ ოქროსა და ვერცხლის მედლები დაისაკუთრეს 15 კილომეტრზე რბოლაში. გამარჯვებულის დროა 49.15,8. ვორონკოვმა თანაგუნდელთან 13,2 წამი წააგო. ამრიგად, საბჭოთა არმიელებმა ასპარეზობის პროგრამის მეორე სახეობაც მოიგეს.

III და IV ადგილები პოლონეთის არმიის წარმომადგენლებმა დაისაკუთრეს: ბრინჯაო ერგო ვ. გონსენიცას (49.56,8), ხოლო IV ადგილი — ი. სტაშელს (50.13,5). V ადგილზეა საბჭოთა არმიელი ა. აკენტიევი — 50.43,2.

როგორც სპარტაკიადის პირველ დღეს, სითბომ ტრასა დღესაც გააფუჭა და თოვლი შორიდან მოზიდეს.

დიდი კროკევის ტრამპლინზე დაიწყო „მფრინავ მოთხილამურეთა“ შეჯიბრება, მაგრამ პირველი სერიის შუაში ასპარეზობა შეწყდა ძლიერი ქარის გამო. საცდელ ხტომებში ყველაზე მაღალ შედეგს მიაღწია ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელმა რ. ჰენლმა — 98,5 მ. მეორე შედეგი ჰქონდა კ. წაქაძეს (96 მ), რომელიც ერთადერთია საბჭოთა სპორტსმენთაგან, ვინც მეგობრული არმიების ზამთრის I სპარტაკიადაში მიიღო მონაწილეობა 1961 წელს იმავე ზაკოპანეში.

„საბრძოლო“ ხტომებმა საპრიზო ადგილების განლაგების სურათი შეცვალა: ოქროსა და ვერცხლის მედლები მახპინძლებმა — პოლონელმა სპორტსმენებმა ტ. პავლიუსიაკმა (ნახტომები — 96,5 და 99,5 მ, 212,4 ქულა) და ა. კშიშტოფიაკმა (97 და 98 მ, 209 ქულა) დაისაკუთრეს.

ბრინჯაოს მედალი მოიგო უბერებელმა საბჭოთა ვეტერანმა, 35 წლის ბაკურიანელმა „მფრინავმა მოთხილამურემ“ კ. წაქაძემ. მან 208,3 ქულა დააგროვა (ნახტომები — 99 და 97,5 მ).

* * *

სურათზე: კ. წაქაძე.

გ. კიკვაძის ფოტო (საქდესი).

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 19
(4269)

1971 წ.
28 იანვარი.
ხუთშაბათი.
ფასი 2 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

საუბარი სპორტთან მეგობრობაზე

მოსკოვში სსრ კავშირის ყველა კუთხიდან მოიყარეს თავი ფიზიკური კულტურისა და სპორტის პროპაგანდისტებმა: 26 იანვარს აქ დაიწყო მათი საკავშირო სემინარი, ვინც ახალგაზრდობას სპორტში რეგულარულად მეცადინეობისკენ უნდა მოუწოდოს. ღონისძიების თაოსნები არიან საზოგადოება „ცოდნა“ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ ს. პავლოვმა თავის მოხსენებაში ილაპარაკა ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების ამოცანებზე.

— ფიზიკური კულტურა,—თქვა მომხსენებელმა,—სულ უფრო აქტიური საშუალება ხდება საბჭოთა ადამიანის მორალურ ჩამოყალიბებასა და სულიერ სახეზე საზოგადოების გავლენისთვის, ხელს უწყობს მაღალ შრომისნაყოფიერებას, ჯანმრთელობის ხანგრძლივად შენარჩუნებას, სამშობლოს დაცვისთვის მზადყოფნას.

ახლა უკვე აღარ არის საჭირო იმის მტკიცება, რომ „ფიზკულტურა კარგია“. დღეს აუცილებელია მეცნიერულად დამუშავებული, მეთოდური, დიფერენცირებული რეკომენდაციები — როგორ დავიწყოთ სპორტში მეცადინეობა, რომელი სახეობა ავირჩიოთ, როგორი უნდა იყოს საწვრთნელი დატვირთვა.

ს. პავლოვმა აღნიშნა, რომ დღეს უდიდესი ამოცანები დგას სპორტის სფეროში მომუშავე მეცნიერების წინაშე. მოხსენებაში დიდი ადგილი დაეთმო სპორტის განვითარების საკითხს სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში, კოლმეურნეობებში, უმარტივესი სპორტული ნაგებობების მშენებლობას, როგორც მასობრივი სპორტის განვითარების საფუძველს.

ს. პავლოვმა ილაპარაკა 1972 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის საბჭოთა სპორტსმენთა მზადებაზე.

სემინარის პირველ დღეს ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებაში მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის როლის შესახებ მოხსენებით გამოვიდა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ფიზიკური კულტურის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი ა. კორობკოვი.

[illegible]

ფოტო თვალით

ამას წინათ ბაკურიანში გაიმართა სსრ კავშირის თასის გათამაშება თხილამურებით ტრამპლინიდან ხტომაში. ამ სურათზე თქვენ ხედავთ გუნდურ ჩათვლაში გამარჯვებულს — გორკის ოლქის ნაკრებს. მარცხნიდან — ვ. ნაპილოვი, ვ. ტერეჩევი, ვ. ვერეტენიკოვი, გ. ნაპალკოვი და ვ. შჩერბაკოვი.

გ. კიკვაძის ტელეფოტო (საქდესი).

ცნობები სოციალისტური ქვეყნებიდან

◆ სოფია, 26 იანვარი. თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში მსოფლიო ჩემპიონატები აქ მხოლოდ 7 თვის შემდეგ გაიმართება, მაგრამ მასპინძლებმა უკვე გააჩაღეს ფართო სამზადისი. შექმნილია ამ საინტერესო შეჯიბრებების საორგანიზაციო კომიტეტი.

როგორც ბულგარეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, გაიმართა ამ კომიტეტის პირველი სხდომა, რომელსაც ბულგარეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე პ. კუბადინსკი ხელმძღვანელობდა. სხდომაზე დამტკიცდა შეჯიბრებების რეგლამენტი. ტურნირი გაიხსნება 27 აგვისტოს თავისუფალი სტილის ათლეტთა შერკინებით. ისინი ოთხ დღეს იასპარეზებენ. მერე, ხანმოკლე შესვენების შემდეგ — 2 სექტემბერს ხალიჩაზე „კლასიკოსები“ გამოვლენ.

რახან ხალიჩაზე ჩამოვარდა სიტყვა, გეტყვით, რომ იგი რვაკუთხოვანი იქნება, მაგრამ მრგვალი საჭიდაო „მინდვრით“. ხალიჩას საფარი ექნება წვიმის შემთხვევაში სპორტსმენთა დასაფარავად. ეს შეჯიბრება ხომ სტადიონზე გაიმართება, ისევე, როგორც 1963 წლის მსოფლიო პირველობა.

◆ პრაღა, 26 იანვარი. საჰაერო ნაოსნობის სპორტის ჩეხოსლოვაკიელი მოყვარულები ახალი სეზონისთვის ემზადებიან. პრაღის „ბალონ-კლუბის“ წევრები გაზაფხულზე აიღებენ პირველ სტარტებს, სპორტის ამ სახეობის სეზონი კი ოფიციალურად მაისში გაიხსნება ქალაქ ტაბორში, სადაც საერთაშორისო შეჯიბრება გაიმართება პოლონეთის, ბელგიის, ჰოლანდიის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და ჩეხოსლოვაკიის სპორტსმენთა მონაწილეობით.

„ბალონ-კლუბის“ წევრები ზაფხულში რამდენიმე სოციალისტური ქვეყნის ტერიტორიაზე ფრენას აპირებენ. საინტერესო სტარტები გაიმართება, აგრეთვე, პრაღაში, ბრატისლავაში და რესპუბლიკის სხვა ქალაქებში.

პრაღელ საჰაერო ნაოსნებს ახლა თავიანთ განკარგულებაში სამი დიდი საჰაერო ბურთი აქვთ. ორი მათგანი — „პრაღა“ და „ცენტროტექსი“ უკვე „ვეტერანები“ არიან. მესამე ბურთი სულ ახალია და ჯერ არ მოუნათლავთ. გაზაფხულზე იგი ჰაერში ავა და პირველ გაფრენაში მოინათლება კიდეც.

როგორც ცნობილია, ამას წინათ ლენინგრადის მახლობლად გაიმართა მოთხილამურეთა საერთაშორისო შეჯიბრება — „კავგოლოვოს თამაშები“.

* * *

სურათზე: 30 კილომეტრზე რბოლაში გამარჯვებული ი. სკობოვი (სსრ კავშირი) ასპარეზობის დროს.

ნ. ნაუმენკოვის ტელეფოტო (საქდესი).

ლაურეატები

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის სპორტული ჟურნალ-გაზეთები წლის ბოლოს ასახელებენ ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენებს. ამასთან, ისინი ერთეული ლაურეატების დასასახელებლად სულ სხვადასხვა მეთოდს მიმართავენ. ერთგან საუკეთესო სპორტსმენის ვინაობას გაზეთისა თუ ჟურნალის ყველა მკითხველის გამოკითხვის შედეგად ადგენენ, სხვაგან მას მხოლოდ სპორტული მიმომხილველები ასახელებენ ანდა გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციები უყრიან კენჭს.

ჩვენი გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნდა ზოგიერთი ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენთა გვარები. ახლა გაგაცნობთ კიდევ რამდენიმეს.

რუმინეთში 1970 წლის საუკეთესო სპორტსმენად დაასახელეს მსოფლიოს ჩემპიონები აკადემიურ ნიჩბოსნობაში შ. ტუდორი და პ. ჩაპურა.

იუგოსლავიაში № 1 სპორტსმენად აღიარებულია ტანმოვარჯიშე მ. ცერარი, რომელმაც მესამედ მოიპოვა ჩემპიონობა ტაიჭზე ვარჯიშში, და მსოფლიო ჩემპიონი მცირეკალიბრიანი შაშხანით სროლაში დესანკა პეროვიჩი.

დიდი ბრიტანეთის საუკეთესო სპორტსმენები არიან პროფესიონალი მოკრივე ჰ. კუპერი და მძლეოსანი ქალი ლ. ბოარდი.

გფრ-ში გაიმარჯვეს ევროპის საზღვაო ჩემპიონმა ცურვაში ჰ. ფასნაჰტმა და მსოფლიო რეკორდსმენმა ქალთა შორის სიგრძეზე ხტომაში ჰ. როზენდალმა.

საფრანგეთში საუკეთესოდ აღიარეს ქვეყნის რეკორდსმენი 400 მეტრზე რბენასა და ამავე დისტანციაზე თარჯრბენში ჟ.-კ. ნალე.

ავსტრიელებმა საუკეთესოებად აღიარეს მსოფლიო ჩემპიონი სამთო-სათხილამურო სპორტში კ. შრანცი და სიმაღლეზე მხტომელი ქალი ი. გუზენბაუერი.

ამერიკულმა გაზეთმა „სპორტს ილუსტრეიტედმა“ ქვეყნის № 1 სპორტსმენად დაასახელა ჰოკეისტთა პროფესიული კლუბის „ბოსტონ ბრიუნსის“ მოთამაშე რ. ორი.

დანიაში გაიმარჯვა მსოფლიო ჩემპიონმა საგზატკეცილო რბოლაში ი. შმიდტმა.

ბელგიელთა შორის საუკეთესოდ მიიჩნიეს მძლეოსანი ათჭიდელი ფ. ერბრანდი.

შვეიცარიის სპორტულმა ჟურნალისტებმა წლის საუკეთესო სპორტსმენად დაასახელეს მსოფლიო ჩემპიონი სამთო-სათხილამურო სპორტში ბ. რუსი.

ლუქსემბურგში № 1 სპორტსმენია ავტომრბოლელი ნ. კობი.

საგრძნობი უპირატესობით

ბაკურიანი, 26 იანვარი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). საქართველოს პროფკავშირთა ზამთრის III სპარტაკიადის მონაწილე ქალები დღეს ისვენებდნენ. სამაგიეროდ, ვაჟებისა და იუნიორების ერთი ჯგუფი ბიატლონში ასპარეზობდა, მეორე ჯგუფის წევრები ტრამპლინიდან ხტომაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, მესამე ჯგუფმა კი მეორე გიგანტურ სლალომში გამართა შეჯიბრება.

ბიატლონისტთა ტურნირის მონაწილეთა რიცხვი მეტისმეტად მცირე იყო: სარბიელზე სულ 7 ვაჟი და ჭაბუკი გამოვიდა. ვაჟებს 5-კილომეტრიანი დისტანცია ოთხჯერ უნდა შემოევლოთ და ოთხ სასროლეთზე ესროლათ — ორჯერ წოლელა, ორჯერ კი დგომელა. ჭაბუკებს იგივე დისტანცია სამჯერ უნდა შემოევლოთ. ვაჟებში პირველობა დაისაკუთრა ბაკურიანის კომკავშირულ-გამაჯანსაღებელი ბანაკის „მზიური ველის" ფიზკულტურის ინსტრუქტორმა ვ. ზნაიჩენკომ („სპარტაკი"), რომელმაც დისტანცია 1 საათსა და 56 წუთში დაფარა, მაგრამ სროლაში 23 წუთით დაჯარიმდა, რადგან ტყვიები სამიზნის ცენტრს ააცდინა. საბოლოოდ მისი მაჩვენებელია 2:19.33. II ადგილზეა ზნაიჩენკოს თანაგუნდელი გ. ვალიევი — 2:39.55. მან სამიზნეს ვერც ერთი ტყვია ვერ მოახვედრა, რისთვისაც, რა თქმა უნდა, 40-წუთიანი ჯარიმა მიიღო. 34 წუთით დაჯარიმდა III ადგილზე გასული განთიადელი ნ. ოზეროვი, რომლის საბოლოო შედეგია 2:40.56.

როგორც ხედავთ, ჩვენი ბიატლონისტები მაღალი შედეგებით ვერ დაიქადნიან.

ასეთივე მდგომარეობაა ჭაბუკთა შეჯიბრებაშიც, სადაც პირველობა სპარტაკელ გ. უგრელიძეს დარჩა — 2:08.48.

სამთომოთხილამურე ვაჟებმა მეორე გიგანტური სლალომით შეაჯამეს ამ სახეობაში შეჯიბრების შედეგები. ისევე როგორც გუშინ, პირველობა დღესაც საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის მეორეკურსელმა, სპორტის ოსტატობის კანდიდატმა დ. თუაურმა („კოლმეურნე") მოიგო — 1.32,9. ორი გიგანტური სლალომის ჯამში მისი მაჩვენებელია 3.10.2. დღესაც მეორე იყო რ. აკოფოვი („ბურევესტნიკი") — 1.34,2, ხოლო III ადგილზე გავიდა მისი თანაგუნდელი, სპორტის ოსტატი ბ. კახიანი — 1.36,0, ოღონდ ორივე გიგანტური სლალომის ჯამში (3.19,3) იგი IV ადგილს დასჯერდა, ვინაიდან მას 1,2 წამით აჯობა ფიზკულტურის ინსტიტუტის მეოთხეკურსელმა, სპორტის ოსტატმა შ. კოზანაშვილმა. ჭაბუკებში I და II ადგილები „კოლმეურნის" გუნდის წევრებს — ა. ნავერიანსა და გ. ლარიბაშვილს დარჩათ. მესამეა გ. ოგანეზოვი („სპარტაკი").

ტრამპლინიდან მხტომელებმა დღეს ძველი ბილიკები გაიხსენეს. ისინი პასკალოს ფერდობზე მოწყობილ 40-მეტრიან ტრამპლინს ეწვივნენ. საქმე ის არის, რომ 90-მეტრიანი ტრამპლინის მიდამოებში 40-მეტრიანი სარბიელის აგება დღემდე ვერ მოხერხდა, თუმცა ბევრჯერ ითქვა, რომ საასპარეზოდ ასე შორს სიარული აშკარად ცუდ გავლენას ახდენს სპორტსმენთა შედეგებზე.

ასე იყო თუ ისე, შეჯიბრება ჩატარდა და გამარჯვება ამჯერადაც „მზიური ველის" წარმომადგენელმა, სპორტის ოსტატობის კანდიდატმა ანტონ ვაჟამ („ბურევესტნიკი") დაისაკუთრა — 199,9 ქულა (ნახტომები — 42 და 43 მ).

უფრო შორს გადახტა სპორტის ოსტატი ბ. მჭედლიანი („კოლმეურნე") — პირველ ცდაზე მან 43, ხოლო მეორეზე 44,5 მ გადალახა. მაგრამ პირველი ცდისას მიწაზე დაშვების დროს თოვლს ხელით შეეხო, რისთვისაც სტილში დაბალი შეფასება მიიღო. საბოლოოდ — 182,4 ქულა. III ადგილზეა მისი თანაგუნდელი გ. თვაური — 181,7 ქულა (ორივეჯერ 40,5 მ).

ჭაბუკთა შეჯიბრებაში სამივე საპრიზო ადგილი „კოლმეურნის" სპორტსმენებმა ე. კოზანაშვილმა, ა. ბაკაევმა და რ. ფარჯიანმა დაისაკუთრეს.

ორი დღის შემდეგ სპარტაკიადის საგრძნობი უპირატესობით ისევ „კოლმეურნის" ნაკრები ლიდერობს — 180 ქულა. II ადგილზეა „ბურევესტნიკი" — 94 ქულა. III ადგილისთვის ბრძოლაში „სპარტაკმა" „განთიადს" გაუსწრო და ახლა 56 ქულა აქვს.

თ. გელაშვილი.

ჩვენი მოძმე რესპუბლიკები

კურსი — სპარტაკიადა

უკრაინის დედაქალაქში ჩატარდა ფიზკულტურული აქტივის რესპუბლიკური თათბირი, სადაც დიდი საუბარი გაიმართა მასობრივი სპორტის შემდგომი განვითარების საკითხებზე, სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის ფინალური შეჯიბრებებისა და 1972 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის უკრაინელ სპორტსმენთა მომზადების პრობლემებზე.

რესპუბლიკაში ფიზკულტურული მოძრაობის განვითარებასა და მაღალი კვალიფიკაციის სპორტსმენთა მომზადების საკითხზე ილაპარაკა უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ ვ. კულიკმა.

განვლილ ხუთწლედში უკრაინაში მტკიცე საძირკველი ჩაეყარა ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომ აღმავლობას. რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში ახლა 769 სტადიონი, 8000 დარბაზი, 200 საცურაო აუზია. თათბირზე აღინიშნა, რომ პრაქტიკულად უკრაინას უკვე აქვს ბაზა, რაც ფიზკულტურასა და სპორტში რესპუბლიკის მოსახლეობის უმეტესობის ჩაბმის საშუალებას იძლევა.

ხუთწლედის მანძილზე უკრაინის სპორტი 226 საერთაშორისო კლასის ოსტატით შეივსო. რესპუბლიკის ათლეტებმა დაამყარეს 56 მსოფლიო, 43 ევროპული, 181 საკავშირო და 589 რესპუბლიკური რეკორდი. უკრაინის სპორტული ორგანიზაციების 517 აღსაზრდელმა სსრ კავშირის ჩემპიონის წოდება მოიპოვა, 93 ევროპის ჩემპიონი გახდა, ხოლო 68 — მსოფლიოსი.

თათბირმა უკრაინის ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა უპირველეს ამოცანად მიიჩნია რესპუბლიკის სპარტაკიადისთვის მომზადება და ამ შეჯიბრების მაღალ დონეზე ჩატარება. განზრახულია განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ცურვის, სპორტული ტანვარჯიშის, სასტენდო სროლის, ქალთა კალათბურთის, საგზატკეცილო ველოსპორტის, კლასიკური ჭიდაობის განვითარებას.

თათბირზე გამოვიდა უკრაინის კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. დროზდენკო.

ს. ბელოვი,
ა. ივანოვი.
(საქდესის კორ.).

სალამი, სპარტაკიადა!

ზამთრის საოლქო პროფკავშირულ სპარტაკიადაში 15 ათასზე მეტი მაგადანელი მონაწილეობდა. კოლიმისა და ჩუკოტკის 200-ზე მეტი სპორტსმენი ახლა ფინალში აგრძელებს ბრძოლას.

უკვე მოეწყო მოთხილამურეთა, ტრამპლინიდან მხტომელთა, სამთომოთხილამურეთა, ბიატლონისტთა სტარტები. შემდეგ მოციგურავეებისა და ჰოკეისტების შეჯიბრებები დაიწყება.

სპარტაკიადისთვის მზადების პერიოდში მაგადანში მწყობრში ჩადგა რიგით მე-15 სათხილამურო ბაზა. ახალი საციგურაოები გაიხსნა ჩუკოტკის იმიერპოლარულ სოფელ ბილიბინოში და არქტიკის ნავსადგურ პევეკში — ჩრდილოეთ ყინულოვანი ოკეანის სანაპიროზე.

მაგადანელ მოთხილამურეთა განკარგულებაშია შესანიშნავი ტრასა მდინარე კამენუშკის რაიონში. აქ მუშაობს ამწე, რომელსაც სპორტსმენები 300 მეტრის სიმაღლეზე აჰყავს.

(საქდესის კორ.).

მასწავლებელი

ვასილ ყაჯრიშვილი სიღნაღის საშუალო სკოლაში ფიზაღზრდის მასწავლებლად სულ 5 წელია მუშაობს, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში სკოლის ფიზკულტურულმა კოლექტივმა უკვე მოიპოვა რაიონში უძლიერესის სახელი.

ყაჯრიშვილი თავისი საქმის ნამდვილი დიდოსტატია. იგი ყველაფერს ასწრებს: ახალი სექციის ჩამოყალიბებას, ჩამორჩენილი მოსწავლის გამოსწორებისთვის ზრუნვას, შეჯიბრების ჩატარებას. მისთვის დიდი და პატარა საქმე არ არსებობს, ყველაფერს ერთნაირი პასუხისმგებლობით ეკიდება.

მეათეკლასელი მოსწავლე ვ. აბულაშვილი ორი წლის წინ სროლის სექციაში ჩაეწერა. სულ რამდენიმე მეცადინეობის შემდეგ ლაპარაკი დაიწყეს, საცაა ჩემპიონი გახდებაო. მაგრამ ფიზაღზრდის მასწავლებელმა იგი საწვრთნელ მეცადინეობაზე არ დაუშვა — ორიანებს რომ გამოასწორებ, ვარჯიშის უფლებასაც მაშინ მიიღებო. ასეთმა მოქცევამ ნაყოფი გამოიღო.

სწავლაში მოიკოჭლებდა პერსპექტიული ფრენბურთელი ვ. გრიგორიანიც. მასწავლებელმა აქაც იგივე გზა აირჩია მისი გამოსწორებისთვის და მიზანსაც მიაღწია.

ამას წინათ სიღნალის სკოლაში მოსკოვიდან წერილი მოვიდა. ჯარისკაცი გ. ზურაბაშვილი კითხულობდა, ჩვენი სკოლის კალათბურთელებმა პოზიციები ხომ არ დათმესო? პასუხი ასეთი იყო: „წლეულს ოთხი თასი მოვიპოვეთ — კალათბურთში, ფრენბურთში, მაგიდის ჩოგბურთსა და ჰანდბოლში. სკოლის 520 მოსწავლიდან 150 თანრიგოსანია."

ვ. ყაჯრიშვილს მხარში უდგანან ფიზაღზრდის მასწავლებლები ო. ბეგაშვილი და თ. მირიანაშვილი, სკოლის დირექტორი ი. შოშიაშვილი. ზარშან დირექტორის განკარგულებით 1200 მანეთის სპორტინვენტარი შეიძინეს. წლეულს ერთი ახალი სპორტული მოედნის მოწყობასაც აპირებენ.

იმედია, სიღნაღის საშუალო სკოლა მომავალში კიდევ უფრო დიდ წარმატებებს მოიპოვებს სწავლაშიც და სპორტშიც.

ვ. ბუკინი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

სიღნაღი.

[illegible]

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში გამოქვეყნებული იყო წერილი სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის გაფართოებული პლენუმის მუშაობაზე.

პლენუმზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე გ. სიხარულიძე.

პლენუმმა აირჩია პრეზიდიუმი ასეთი შემადგენლობით: ვ. გრანატკინი (თავმჯდომარე), ნ. რიაშენცევი (მოადგილე), ვ. ოსიპოვი, ნ. რაზუმოვსკი, ვ. ნეკრასოვი, ო. ოშენკოვი, მ. სემიჩასტნი, პ. კრავჩენკო, მ. ისპირიანი, ნ. ლატიშევი, ბ. ტოპორნინი, ს. სავინი, მ. ბორისოვი, გ. ბაქანიძე, გ. კოფანოვი, ვ. ნიკოლაევი, ლ. იაშინი, ლ. ფილატოვი, ვ. არხიპოვი.

ფეხბურთი

ბოლო რაუნდის წინ

გორი, 27 იანვარი. სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ვ. ქარსელაძის მემორიალში დასკვნითი, XIII ტურის წინ მოეწყო გადადებული და გამოტოვებული პარტიების დამთავრება.

დილით გათამაშდა ლ. შტეინ (კიევი) — ზ. მიქაძის პარტია. ქართველ მოჭადრაკეს ეტლების ენდშპილში პაიკი აკლდა, მაგრამ მან უძლიერესი სვლა ჩაიწერა პარტიის გადადებისას და ყაიმის ფორსირებული გზა ჰქონდა. თამაშის განახლებისას მიქაძემ ეტლით უზუსტოდ ითამაშა და წააგო.

საღამოს შტეინი შეხვდა თანაქალაქელ ი. პლატონოვს XI ტურის გამოტოვებულ პარტიაში. მეტოქეებმა გრიუნფელდის დაცვა გაითამაშეს. პლატონოვი მტრულად არ იყო განწყობილი და უპრეტენზიოდ ავითარებდა ფიგურებს. შტეინი მოგების შემთხვევაში საპრიზო ადგილზე გადიოდა და ამიტომ მონდომებით იბრძოდა. მაგრამ პლატონოვმა მის ნაუცბადევ ჩანაფიქრს „აქილევსის ქუსლი" მოუნახა და თავად გაიმარჯვა.

ს. ფურმანმა (ლენინგრადი) ა. გაგუასთან მეთოდურად გამოიყენა მინიმალური მატერიალური უპირატესობა და მოიგო.

ნ. ალექსანდრია ორივე გადადებულ პარტიაში (მიქაძესთან, ე. უბილავასთან) მძაფრად თამაშობდა, მაგრამ დაცვის სიძნელეები მაინც ვერ გადალახა და დამარცხდა.

თამაშის განუახლებლად ყაიმზე შეთანხმდნენ ა. ბოკუჩავა და უბილავა.

ამრიგად, მემორიალის დასკვნითი, XIII ტურის წინ სატურნირო ცხრილში ასეთი მდგომარეობაა: ე. გუფელდი — 9,5 ქულა, ი. პლატონოვი — 9, ს. ფურმანი — 8, ლ. შტეინი, რ. ჯინჯიხაშვილი, მ. პოდგაეცი (ოდესა) — 7,5-7,5, ბ. გურგენიძე — 7, ვ. სავონი (ხარკოვი), ზ. მიქაძე — 6,5-6,5, ე. უბილავა — 4, ა. ბოკუჩავა, ა. გაგუა — 3,5-3,5, ნ. ალექსანდრია — 3, გ. კუთარაშვილი — 1.

(ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.).

მოტო-71

ტრადიციისამებრ, საბჭოთა მოტოციკლისტებმა ახალი სეზონი ყინულის ბილიკზე იანვრის დღეებში გახსნეს: მოსკოვის „დინამოს" სტადიონზე მოეწყო დედაქალაქისა და ლენინგრადის გუნდების მატჩი. წინ კი ყინულის სპიდვეის ოსტატთა ბევრი საპასუხისმგებლო სტარტია.

საბჭოთა კავშირის სპორტსმენებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს. [illegible] ბ. კადიროვი და ბ. სამოროდოვი მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედლების მფლობელნი არიან (სხვათა შორის, სამოროდოვი ახლა ქვეყნის ნაკრების უფროსი მწვრთნელია), მაგრამ ახლა ამ ტიტულს ფლობს ჩეხოსლოვაკიელი სპორტსმენი ა. შვაბი. საპატიო წოდების დაბრუნება — აი, საბჭოთა მოტოციკლისტთა მიზანი.

თავიანთ ოსტატობას ისინი სსრ კავშირის ჩემპიონატებში შეამოწმებენ. თებერვალში შედგება ფინალური ასპარეზობა 500 კბ სმ კლასის მოტოციკლებზე. პირველი ეტაპი მოეწყობა ლენინგრადში, მეორე და მესამე — მოსკოვში. ამ შეჯიბრებების შემდეგ დასახელებული იქნება ქვეყნის ნაკრები, რომელიც მსოფლიო პირველობის გათამაშებაში მიიღებს მონაწილეობას. ნახევარფინალები მოეწყობა 20-21 თებერვალს საბჭოთა კავშირსა (უფა) და შვეციაში. მსოფლიო ჩემპიონის ვინაობა ცნობილი გახდება 7 მარტს ინცელში (გფრ).

მოტოსპორტში ფართოვდება სსრ კავშირის ჩემპიონატების გეოგრაფია. თუ ადრე ქვეყნის უძლიერესი მრბოლელები ძირითადად მოსკოვში, ლენინგრადსა და უფაში იყრიდნენ თავს, ახლა ოქროს მედლები გათამაშდება გროდნოში (125 კბ სმ), კრასნოიარსკში (175), ვიატკი პოლიანაში (350).

არანაკლებ წარმატებებს [illegible] საბჭოთა [illegible] წინდეიან ბოლიდზე. [illegible] გ. კურილენკომ და [illegible] ვ. კლიმენტიევმა ბევრ დიდ ევროპულ შეჯიბრებაში მოიპოვეს პირველობა. მსოფლიო ჩემპიონატის [illegible] დუბინინეს. ის შეჯიბრება 10 სექტემბერს შვეციაში გაიმართება. წიდოვან ბილიკზე მნიშვნელოვანი საკავშირო ასპარეზობა იქნება სსრ კავშირის ჩემპიონატი, რომელიც ლენინგრადში ჩატარდება 14-15 აგვისტოს, ხოლო სსრ კავშირის თასზე დაუგავპილსში (25-26 სექტემბერი).

მაგრამ ყველაზე მეტ შეჯიბრებას საბჭოთა სპორტსმენები კროსის დისციპლინაში ჩაატარებენ. 6-8 აგვისტოს კიროვოგრადში და 13-15 აგვისტოს პოლტავაში ჩატარდება სსრ კავშირის პირად-გუნდური ჩემპიონატი. ივანო-ფრანკოვსკში 3-5 სექტემბერს მოეწყობა საბჭოთა კავშირის თასის გათამაშება. ამას გარდა, ჩატარდება ბევრი კროსი, რომლებიც [illegible] გმირებს, კოსმონავტებს.

წინა წლების მსგავსად საბჭოთა მრბოლელები კარგად გამოდიოდნენ საერთაშორისო კროსებში. მოსკოველი ვ. არბეკოვი მსოფლიო ჩემპიონი იყო „250-იანებში" 1966 წელს, კიეველმა ი. გრიგორიევმა 1965 წელს ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

რა იქნება წელს? მსოფლიო ჩემპიონატი კროსში 500 კბ სმ კლასში ოთხ ეტაპად მოეწყობა (ფინეთში, ჩეხოსლოვაკიაში, სსრ კავშირსა და გდრ-ში). მსოფლიო პირველობა „250-იანებში" კლასში 12 ეტაპად გაიმართება (ესპანეთში, შვეიცარიაში, პოლონეთში, გფრ-ში, იუგოსლავიაში, იტალიაში, ჰოლანდიაში, გდრ-ში, ფინეთში, შვეციაში, ინგლისში, ავსტრიაში).

საინტერესო იქნება მოტოციკლისტთა შეჯიბრება საგზაო-ცირკულაციო წრიულ ტრასებზე. ქვეყნის პირად-გუნდური ჩემპიონატი ოთხ ეტაპად მოეწყობა (I-II ეტაპები ჩატარდება რიგაში, დანარჩენები — ვილიანდისა და ტალინში).

სულ უფრო პოპულარული ხდება მოტობურთი. საბჭოთა კავშირის უძლიერესი გუნდები თავიანთ ჩემპიონატს აპრილიდან აგვისტომდე ჩაატარებენ, შემდეგ კი სსრ კავშირის თასს გაათამაშებენ. (საქდეს).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მექსიკური შთაბეჭდილებანი

ზევით აღვნიშნე, რომ ბრაზილიელები დინჯად, ნელა იწყებენ კომბინაციათა გათამაშებას, გულდასმით ეძებენ შეტევის განვითარების საუკეთესო ვარიანტს და მერე უცებ, მოულოდნელად ჩართავენ მაქსიმალურ სისწრაფეს, თანაც, თუ ეს საჭიროა, ასეთივე სისწრაფით იცვლიან ერთმანეთს შორის ადგილებს, სათამაშო ფუნქციებს.

იტალიელთა მარცხენა მცველს ფაკეტის ერთხანს საკმაოდ საფუძვლიანად ჰყავდა ჩაკეტილი ჟაირზინიო. პელემ და გერსონმა უმალვე მარცხენა ფლანგზე გადაიტანეს თამაში, აამოქმედეს ტოსტაო, რიველინო, კლოდოალდო. აქეთ იხლართებოდა ათასგვარ კომბინაციათა ქსელი. ერთი ამგვარი კომბინაცია გათამაშდა მარცხენა ფრთაზე მე-19 წუთზე: ევერალდომ აუტი მიაწოდა რიველინოს, მან შორეულ ძელთან დაკიდა ბურთი და პელემ თავით გაგზავნა იგი ბადეში — 1.0. ყველაფერი მოხდა უბრალოდ, ელემენტარულად.

იტალიელები ბევრად ჩამოუვარდებოდნენ თავიანთ მეტოქეს ტექნიკურადაც, ტაქტიკური მრავალფეროვნებითაც და ყოველივე ეს იგრძნობოდა იმ დაძაბულობაშიც, რომელსაც ისინი ქმნიდნენ. იტალიელები მეტისმეტად ცდილობდნენ, პირდაპირ თავს იცავდნენ. მათ თითქოს არ ჰქონდათ ნათელი, გამოკვეთილი გეგმა. გეგმა, ცხადია, ექნებოდათ, მაგრამ ამას ვერ ახორციელებდნენ და ამიტომ მეტისმეტად ნერვიულობდნენ. ამ მონდომებამ და გულმოდგინებამ ნაყოფი მაინც გამოიღო — მათ შეძლეს ანგარიშის გათანაბრება. ეს შესაძლებელი გახდა მცველების, კერძოდ, კლოდოალდოს შეცდომისა და ფელიქსის უდროოდ გამოსვლის შედეგად.

ჯერ კიდევ პირველ ტაიმში იტალიელები იძულებული იყვნენ აკრძალული ილეთებისთვის მიემართათ. ინიშნებოდა ჯარიმები და ამ ჯარიმებს ბრაზილიის ნაკრები ძალიან ორიგინალურად, მახვილგონივრულად იყენებდა. ამაზე ღირს ორიოდე სიტყვის თქმა.

თქვენ ალბათ გახსოვთ, როგორ გაიტანეს ბრაზილიელებმა საჯარიმო ბურთი ჩეხოსლოვაკიის ნაკრების კარში. ჩეხოსლოვაკიელებმა კედელი აღმართეს მეკარის წინ და ამ კედელს გვერდიდან შეუერთდა ჟაირზინიოც. დასარტყმელად მოემზადა პელე. იგი გამოქანდა, მაგრამ გადაახტა ბურთს. იმავე მომენტში ადგილიდან დაიძრნენ რიველინოც და ჟაირზინიოც. ჟაირზინიოს თან გაჰყვა ჩეხოსლოვაკიელი მცველი, ადგილი განთავისუფლდა და რიველინომ ყუმბარისებური სიძლიერით „ჩააჭედა“ ბურთი ბადეში. ასეთ შენიღბულ მანევრს ბრაზილიელები სხვადასხვა ვარიანტით ასრულებდნენ და მათი მოთავე და ჩამფიქრებელი მუდამ პელე იყო, თუმცა პირადად თვითონ, ვიმეორებ, ცუდად ურტყამს საჯარიმოს.

ამრიგად, ტაიმი დამთავრდა ფრედ — 1:1. თითქოს ყველაფერი თავიდან იწყებოდა, მაგრამ ყველა დარწმუნებული ვიყავით, რომ ბრაზილიელები სწორედ ამ მეორე 45 წუთში მოახდენდნენ თავიანთი უპირატესობის რეალიზებას და არც შევმცდარვართ. მათ დიდებული სანახაობა გადაგვიშალეს, ითამაშეს აღმაფრენით, შთაგონებით და ისეთი შთაბეჭდილება შეგვექმნა, თითქოს პირველი ტაიმი მათთვის რეპეტიციას წარმოადგენდა, მეორე კი პრემიერას, სპექტაკლს...

66-ე წუთზე გერსონის შორეულმა დარტყმამ კარის მარჯვენა კუთხეს მიაღწია, რამდენიმე წუთის შემდეგ საჯარიმოდან გათამაშებული ბურთი პელემ თავით დაუგდო ჟაირზინიოს და ანგარიში გახდა 3:1, ხოლო მატჩის დასასრულს პელემ ფეხზე დაუსვა ბურთი კ. ალბერტოს, რომელმაც დააგვირგვინა თავისი გუნდის ჩემპიონობის საქმე — 4:1.

ასე დამთავრდა ეს ულამაზესი, შინაარსიანი, შემოქმედებითი თამაშით აღსავსე მატჩი. საინტერესოა, რომ როცა კ. ალბერტოს ჰკითხეს, რად უნდოდა ზედმეტი რისკის გაწევა და სახიფათო რეიდის შესრულება თამაშის დამთავრებამდე 3 წუთით ადრე, როცა მის გუნდს ჩემპიონის ტიტული ფაქტიურად უკვე განაღდებული ჰქონდა, მან უპასუხა: „რისკი არ იყო. იტალიელებმა მთელი თავიანთი შესაძლებლობანი ამოწურეს და ყველაფრის იმედი დაკარგეს. მე ამას ვხედავდი. მჯეროდა, რომ საპასუხო დარტყმების ძალა მათ აღარ ჰქონდათ“.

ბრაზილიელებმა IX. მსოფლიო ჩემპიონატში თვალნათლივ დაამტკიცეს თავიანთი დიდი უპირატესობა. მათ ბადალი არ ჰყავდათ არც ტექნიკაში, არც ტაქტიკაში, არც ფიზიკურ მომზადებაში, არც სანებისყოფო თვისებებში. გამარჯვება, რომელიც პელეს გუნდმა მოიპოვა, უპირველეს ყოვლისა, არის მოწინავე, პროგრესული, შემოქმედებითი ფეხბურთის გამარჯვება. ისეთი შთაბეჭდილება დაგვრჩა, რომ ბრაზილიელებს ყოველგვარ სიტუაციაში შეუძლიათ კიდევ ერთი საფეხურით, კიდევ ერთი „გრადუსით“ მოუმატონ თამაშს, რომ მარაგში მათ მუდამ აქვთ შემონახული ახალი ძალები, ახალი ენერგია.

მე არ შევუდგები იმის აღწერას, რაც მინდორზე ხდებოდა მატჩის დამთავრების შემდეგ. გულშემატკივართა ზღვამ შთანთქა ჩემპიონები. პელეს ტანზე შემოახიეს ყველაფერი და ისე გაძარცვეს, რომ იგი იძულებული იყო კ. ალბერტოსგან ეთხოვა მაისური, ტრუსები და ჯილდოს მისაღებად მთავრობის ტრიბუნაზე ამ ნათხოვარი სამოსით გამოცხადებულიყო.

გამარჯვებულებმა მიიღეს ოქროს მედლები, სამუდამოდ ჩაიბარეს ქალღმერთ ნიკეს თასიც და გასახდელისკენ გაემართნენ.

IX მსოფლიო ჩემპიონატი დამთავრდა. „აცტეკის“ სტადიონი ნელნელა იცლებოდა, დიდი საფეხბურთო ფიესტა დასრულდა. დადგა მეხიკოსთან გამომშვიდობების საათიც.

ყოველი მსოფლიო ჩემპიონატი, უფრო სწორად, მისი ფინალური ნაწილი წარმოადგენს გარკვეულ ეტაპს ფეხბურთის განვითარების ისტორიაში. ჩემპიონატების ციკლი — 4 წელიწადი — ცოტა დრო როდია. ამ ხნის მანძილზე მოდის ახალი თაობა, ჩნდება ახალი სახელები, ხდება მნიშვნელოვანი ძვრები, მოწინავე გუნდებს სააშკარაოზე გამოაქვთ ახალი ტაქტიკური იდეები, სათამაშო სქემები. ახალი ფორმაციის ფეხბურთელები ახალ სიტყვას ამბობენ, ვითარდება და იხვეწება ტექნიკა, მაღლდება სპორტსმენთა ფიზიკური მომზადება, მორალურ-ნებელობითი თვისებები. ერთი შეხედვით თითქოს უმნიშვნელო დეტალებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ ამა თუ იმ გუნდის საერთო მაჩვენებლებში. მაგალითად, ასეთი უბრალო ამბავი: ბრაზილიელთა ტრადიციული ფორმაა ყვითელი მაისურები მწვანე საყელოთი. გუნდის მწვრთნელებმა და ექიმმა გაითვალისწინეს, რომ მექსიკაში დიდი სიცხეები იქნებოდა, ითათბირეს და გადაწყვიტეს მოეცილებინათ ეს საყელო. მის ნაცვლად მოაქსოვინეს ყელამოღებული მაისურები.

უმნიშვნელო დეტალია, არა? ბრაზილიელი ფეხბურთელები კი ყოველი მატჩის შემდეგ მადლობას უხდიდნენ თავიანთ ექიმს ამ „უმნიშვნელო“ დეტალისთვის, რომელმაც მათ მდგომარეობა შეუმსუბუქა.

დეტალები ქმნიან მთლიანს. ამიტომ გვინდა ორიოდე სიტყვა მოგახსენოთ იმ დეტალებზე, რომლებმაც განსაზღვრეს სსრ კავშირის ნაკრების წარუმატებლობა მექსიკაში.

უკვე მეოთხედ ღებულობენ მონაწილეობას მსოფლიო ჩემპიონატებში საბჭოთა ფეხბურთელები. შედეგი თითქმის სტაბილურია — მეოთხედფინალი. ინგლისში გუნდმა ნახევარფინალსაც კი მიაღწია.

ეს მაჩვენებელი თავისთავად არაა ურიგო. გაიხსენეთ, რა გუნდები არ მოხვდნენ ფინალისტთა შორის, გაიხსენეთ, ვინ ჩამოვიტოვეთ მექსიკაში და დავრწმუნდებით, რომ V ადგილი მიღწევადაც შეიძლება ჩაითვალოს.

მაგრამ მხოლოდ დაკავებული ადგილი არ გამოხატავს გუნდის საერთო სიძლიერეს, მის შესაძლებლობებს, პოტენციალს. V ადგილი კი დავიკავეთ, მაგრამ ჩვენი სპორტული საზოგადოებრიობა, პრესა, გულშემატკივრები უკმაყოფილო არიან მეხიკოში ნაკრების თამაშით. არა ადგილით არიან უკმაყოფილო, არამედ თამაშით.

არასოდეს არ ჰყოლია სსრ კავშირის ნაკრებს ასეთი სუსტი მოწინააღმდეგეები, როგორც IX ჩემპიონატში, მან კი ვერ აჩვენა მსოფლიო პირველობის შესაფერისი თამაში. მექსიკაში ერთობ ღარიბად გამოვიყურებოდით ტექნიკითაც, ტაქტიკითაც. იქ საუკეთესო გუნდებმა ახლებურად, შემტევი სტილით ითამაშეს, ჩვენ კი რეტროგრადული, დაცვითი ფეხბურთის პოზიციებზე ვიდექით და მეტოქის კარს იმდენს არ ვუტევდით, რამდენსაც საკუთარს ვყარაულობდით, ვშიშობდით.

ფეხბურთი უნდა ითამაშო ისე, როგორც იცი და გესმის და თუ მოინდომე იმის გაკეთება, რაც შენს ძალას აღემატება, ესე იგი, რაც არ იცი, მუდამ წაგებული დარჩები.

საბჭოთა ფეხბურთელთა კოზირი ყოველთვის იყო მაღალი ბრძოლისუნარიანობა, სისწრაფე, ტემპი, შეუპოვრობა. ამ თვისებებით კი ახლა ბევრმა გაგვისწრო. ეს აღარაა ჩვენი პრიორიტეტი.

ჩვენ მუდამ მოწაფეთა როლში გამოვდივართ და ეს ძალზე საწყენია. ოდესღაც ბასკმა ფეხბურთელებმა გვასწავლეს, რა იყო „დუბლ-ვე“, მერე შვეციაში გვიჩვენეს 4—2—4, ინგლისში 4—4—2 და ა. შ. გამოდის, რომ სხვები ეძებენ, ექსპერიმენტებს ახდენენ, პოულობენ, წინ მიდიან, ჩვენ კი ეპიგონების როლში გამოვდივართ, მოვლენებს ჩამოვრჩებით.

რატომ არ უნდა წავსულიყავით წინ, როცა 1956 წელს ოლიმპიური ჩემპიონობა მოვიპოვეთ, ხოლო 1960 წელს ევროპის თასის მფლობელები გავხდით?

ნაკრების ხელმძღვანელობა ერთობ ოპტიმისტურად იყო განწყობილი მექსიკის წინ და ოქროს მთებს გვპირდებოდა, სინამდვილეში კი იგი ძველი ბაგაჟის, დაცვითი თამაშის იმედით გაემგზავრა ოკეანის გაღმა, სადაც სულ სხვა ფეხბურთს ელოდა ტრიუმფი.

ჩვენი ფეხბურთი ვერასოდეს გაიმარჯვებს, სანამ არ ეყოლება ნამდვილი ვარსკვლავები, ექსტრა-კლასის ფეხბურთელები, ისეთები, როგორიც არიან პელე, ჟაირზინიო, ტოსტაო, გერსონი, კ. ალბერტო, ბენქსი, რ. ჩარლტონი, მური, ბეკენბაუერი, შნელინგერი, მიულერი, ოვერატი, ფაკეტი, დე სისტი, რივერა, მაცოლა, რივა და სხვა მათი მსგავსნი. ვინ გვყავდა მექსიკაში საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისი მოთამაშეები? შესტერნიოვი და კავაზაშვილი. ორად ორი ფეხბურთელი. განა შეუძლიათ პირველხარისხოვან ოსტატებთან ბრძოლა ევრიუჟიხინს, ხმელნიცკის, აფონინს, მუნტიანს და სხვებს? რა თქმა უნდა, არა.

საშუალო ფეხბურთელი საშუალოდ რჩება, რაც უნდა სასწაულმოქმედი ტაქტიკა გამოუნახო მას. საშუალო ფეხბურთელს უმაღლეს მწვერვალზე ვერ აიყვან ვერავითარი ხერხითა და ფანდით, ვერ მოაგებინებ ისეთ რთულ ტურნირს, როგორიც მსოფლიო ჩემპიონატია. ასეთი ჯადოქრული წამალი არ არსებობს. მექსიკაში კი ჩვენ აშკარად გამოხატული საშუალო გუნდი ვიყავით. არც მეტი, არც ნაკლები.

ჯერ უნდა გქონდეს შესაფერისი „მასალა“, გყავდეს უმაღლესი კლასის ოსტატები, მერე კი შეიძლება დაჯდე და სქემები შეიმუშავო მათთვის. ასეთი უცხოელი ფეხბურთელები, როგორიც ზევით ჩამოვთვალეთ, არ საჭიროებენ გადაღეჭილ და დაზუთხულ სქემებს. მათი ინდივიდუალური საშემსრულებლო ხელოვნება იმდენად მაღალია, რომ თითოეული მათგანი მინდორზევე, თამაშის პროცესში ქმნის საჭირო ვარიანტებს, ცვლის მათ კონკრეტულად შექმნილი მდგომარეობის შესაბამისად. რა ტაქტიკური მახვილგონიერება უნდა მოსთხოვო ფეხბურთელს, როცა იგი შებორკილია იმით, რომ ხეირიანად ვერ გაუჩერებია ბურთი, ვერ აწვდის, ტყვიასავით ემინია მეტოქესთან პირისპირ დარჩენისა, ვერ ურტყამს კარში.

მომიტევეთ უხეში შედარება, მაგრამ ისეთი შედევრები, როგორიცაა „აიდა“, „რიგოლეტო“ თუ „დაისი“, ძალზე უსიამოვნოდ მოგეჩვენებათ, თუ მათ უნიჭო მომღერლები იმღერებენ. ასეა ფეხბურთშიც.

იყო პერიოდი, როცა საბჭოთა ფეხბურთს ჰყავდა ექსტრა-კლასის მოთამაშეები: ფედოტოვი, ბობროვი, ძმები დემენტიევები, ბესკოვი, ხომიჩი, ილინი, ტროფიმოვი, დიომინი, ნიკოლაევი, ბაშაშკინი, პონომარიოვი, პაიჭაძე, ჯეჯელავა, ღოღობერიძე, შემდგომში — იაშინი, ვოინოვი, ნეტო, ივანოვი, სიმონიანი, მეტრეველი, მესხი, სტრელცოვი... ახლა ასეთი ოსტატები რატომღაც გამოილია და ეს ნათლად იგრძნობა არა მარტო ისეთ დიდ შეჯიბრებებში, როგორიცაა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატები, ოლიმპიური ტურნირები, არამედ ჩვენივე, საკავშირო გათამაშებები. ზიხარ ტრიბუნაზე და უყურებ, როგორ წვალობს თვითონ და როგორ აწვალებს ბურთს ეგრეთ წოდებული საშუალო ფეხბურთელი. მასთან ერთად ვწვალობთ ჩვენც, მაყურებლები.

უმაღლესი კლასის მოთამაშე — აი, სადაა წარმატების სათავე და როცა ეს სათავე დამშრალია, დიდი ფეხბურთის მდინარეც, ცხადია, შრება. ეს ყველამ კარგად ვიცით მაშინ, როცა მსოფლიო ჩემპიონატი მთავრდება და ჩვენი გუნდიც შინ ხელმოცარული ბრუნდება. მერე ცოტა ხნით იწყება საუბარი და ფაციფუცი საჭირო რეორგანიზაციებზე, „ზევით“ ღებულობენ რაღაც დადგენილებებს, რომლებიც „ქვევით“ რატომღაც ვერ აღწევენ, შეცვლიან ნაკრების მწვრთნელებს და 4 წელი იცდიან, რომ... იგივე შეცდომები გამეორდეს მომავალ ჩემპიონატში. განა საკავშირო პირველობათა მატჩებში ნათლად არა ჩანს საბჭოთა ნაკრების მოთამაშეთა დაბალი კლასი? მაგრამ თვალი გვეხილება მხოლოდ მაშინ, როცა უკვე გვიანია. ასე გადის მსოფლიო ჩემპიონატების ეს 4-4 წელი.

მთავარი საზრუნავი ახლა ისაა, რომ ბავშვთა და ახალგაზრდათა შორის ვეძიოთ, დაუღალავად ვეძიოთ და ვიპოვოთ ნამდვილი ტალანტები, კარგი პერსპექტივის მქონე ფეხბურთელები, მოვახვედროთ ისინი არა შემთხვევითი და დაბალი კვალიფიკაციის მქონე მწვრთნელებთან, არამედ გამოცდილ, საქმის მცოდნე სპეციალისტებთან, ჭეშმარიტ პედაგოგებთან, შევუქმნათ მათ ყველა პირობა ნაყოფიერი, პროდუქციული მეცადინეობისთვის.

ჩვენს ქვეყანაში ბავშვთა და მოზარდთა სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლების ფართო ქსელია შექმნილი, მთელი წლის განმავლობაში მიმდინარეობს სხვადასხვა სახის, სხვადასხვა მნიშვნელობის შეჯიბრებები.

შეჯიბრება, რასაკვირველია, საჭიროა. უამისოდ სპორტსმენი დიდი ოსტატი ვერ გახდება. მაგრამ უბედურება ისაა, რომ ბავშვებთან მომუშავე მწვრთნელებს უპირველეს ყოვლისა ავალებენ ამ შეჯიბრებებში მაღალი ადგილების დაკავებას, ვიღაცის დამარცხებას, ვიღაცის გასწრებას. ქულები, ქულები — აი, რა უდგიათ თვალწინ მწვრთნელებს და ამ ქულებისთვის გამართული გაუთავებელი ბრძოლის ფრონტზე იშვიათად თუ ვინმეს ახსოვს, რომ სადღაც, მინდვრის კუთხეში მიყუჟულია პატარა, გამხდარი ბიჭუნა, რომელსაც ფეხებში, როგორც ფეხბურთელები იტყვიან, შეიძლება ოქრო აქვს ჩამალული. მისი გაზრდისთვის, მასთან ცალკე მუშაობისთვის არავის სცალია. სადა აქვს გუნდის მწვრთნელს საამისო დრო, როცა შეჯიბრება შეჯიბრებას მოსდევს და ქულების დაკარგვას მას არავინ აპატიებს. სანამ იგი სატურნირო საქმეებითაა გართული, პატარა ბიჭუნა უიმედოდ შესცქერის ფიზიკურად მასზე უფრო ძლიერი თანატოლების ბრძოლას და ასევე უიმედოდ მიემართება შინისკენ. ტალანტები ფაქიზი ხალხია და ფაქიზ მოპყრობასაც საჭიროებენ.

ნორჩი ფეხბურთელის ინიციატივას, მისი ინდივიდუალური მონაცემების გაფურჩქვნას მეტი ხელშეწყობა, მეტი ასპარეზის დათმობა ესაჭიროება. თუ ბავშვს აქვს რაიმე თვისება, რომელიც მას გამოარჩევს ტოლებში (ვთქვათ, ძალიან სწრაფია, ან თავით თამაშობს კარგად, ან განსაკუთრებული დრიბლინგი აქვს), მწვრთნელმა სწორედ ამ ინდივიდუალური თვისებების უმაღლეს მწვერვალამდე აყვანისთვის უნდა იზრუნოს და მომავალი ფეხბურთელის ძალა ზენიტში მოაქციოს.

ბავშვებს სჭირდებათ სათამაშო მინდვრები, ბუცები, ფორმა. ყველამ იცის, რომ აღარ დაბრუნდება ის დრო, როცა ქალაქებში საკმაოზე მეტი იყო დაუსახლებელი ადგილები ბურთის სათამაშოდ. ქალაქი გაიზარდა, მაგრამ განა ეს ნიშნავს, რომ უნდა მოისპოს ეგრეთ წოდებული „არაორგანიზებული ფეხბურთი“ და გაქრნენ ეზოებში მოთამაშე ბიჭები? მაშინ ხომ ფეხბურთიც მოისპობა. ქალაქის ახალი რაიონები უნდა დაიგეგმოს ისე, რომ ყოველ უბანს (ახლა მათ მიკრორაიონებს უწოდებენ) ჰქონდეს პატარა ზომის სათამაშო მოედნები. სპეციალიზებულ სკოლებში ყველა ვერ ხვდება, ყველა არც ცდილობს იქ სიარულს. ამიტომ ბავშვებს აუცილებლად უნდა ჰქონდეთ ამგვარი მოედნები.

მეხიკოში ყოფნისას 50-მდე ასეთი მინდორი ვნახეთ, სადაც ბავშვები დილიდან დაღამებამდე თამაშობდნენ ბურთს. ბრაზილიის პლაჟებზე ლეგენდები დადის. იქ ათეული ათასობით ბავშვი ეუფლება ფეხბურთის რთულ ხელოვნებას, ჩვენში კი საამისოდ მინიმალური საშუალებაც არა გვაქვს. მახსოვს, ჩემს დროს თბილისში აუარებელი ადგილი იყო ბურთის სათამაშოდ. პლანეროდრომზე და ეგრეთ წოდებულ „სპარტაკის“ პლაცზე ვაკეში, იპოდრომზე... საბურთალოში, სოლოლაკში, ნაძალადევში თითქმის ყველა სკოლას ჰქონდა პატარა ეზო. ახლა კი ბავშვებმა თუ ასფალტით დაფარული პატარა ადგილი მაინც მოიხელთეს სათამაშოდ, ისიც დიდი ამბავია.

არა მარტო თბილისში. ასეთივე მდგომარეობაა ქუთაისში, სოხუმში, ბათუმში, ფოთში და სხვაგან. ბავშვებს უნდა გამოვუნახოთ ბალახიანი, რბილი, მოხერხებული სათამაშო ადგილი, მივაწოდოთ მათ პატარა ბურთები, ინვენტარი, დავაინტერესოთ ისინი. წინააღმდეგ შემთხვევაში ბევრი ტალანტი გამოგვეცლება ხელიდან.

ჩვენი სამამულო ფეხბურთის უმაღლესი ლიგა ერთ დროს ხელოვნურად გაზარდეს იმ გუნდების ხარჯზე, რომლებიც თავიანთი კლასით არ იმსახურებდნენ ასეთ დაწინაურებას. ამ ღონისძიებამ, ჩვენი აზრით, დათვური სამსახური გაგვიწია და ახალგამომცხვარი „ოსტატთა“ გუნდების ზრდის ნაცვლად გამოიწვია ძლიერი, გამოცდილი, მაღალი კლასის კოლექტივების გარკვეული დაქვეითება. უმაღლეს ჯგუფში უნდა მონაწილეობდეს დიდი-დიდი 12-14 გუნდი და მაშინ ეს იქნება ნამდვილი საფეხბურთო აკადემია, სადაც ადგილი აღარ ექნებათ შემთხვევით გუნდებს და დაბალი ხარისხის მოთამაშეებს. უმაღლეს ჯგუფში ჯერ ისედაც ბევრი სუსტი გუნდი იყო, მათ კი ემატებოდნენ ისეთები, როგორიც არიან კიროვაბადის „დინამო“, ორჯონიკიძის „სპარტაკი“ და სხვ. მტკიცება არ უნდა, რომ გუნდების რაოდენობის შემცირება „ა“ კლასის უმაღლეს ჯგუფში, მათი რაციონალური რიცხვის დატოვება ხელს შეუწყობს მეტი დრო დაეთმოს საწვრთნელი მუშაობის სწორად ორგანიზებას, მაღალი კვალიფიკაციის მოთამაშეთა შერჩევას და აღზრდას, სეზონის მანძილზე დიდი, საპასუხისმგებლო და საინტერესო საერთაშორისო ტურნირების მოწყობას.

უზომოდ იყო გაზრდილი „ა“ კლასის II ჯგუფისა და „ბ“ კლასის გუნდების რაოდენობა საკავშირო შეჯიბრებებში. ეს მხოლოდ ვნებდა ფეხბურთის განვითარებას და ამის გამოა, რომ საქართველოს ჩემპიონატმაც დაკარგა თავისი ადრინდელი მნიშვნელობა და ინტერესი.

მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატმა თვალნათლივ ცხადყო, რომ ფეხბურთი ვითარდება, წინ მიდის, მდიდრდება. მისი გაკვეთილები მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ, რომ მომავალი გათამაშებისთვის, რომელიც გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ჩატარდება, სსრ კავშირის ნაკრები ღირსეული მაჩვენებლებით წარსდგეს უძლიერესთა ამ საერთაშორისო ფორუმზე.

ა. პაიჭაძე,
სპორტის ოსტატი.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: აი, ის საბედისწერო გოლი, რომელმაც სსრ კავშირისა და ურუგვაის გუნდების შეხვედრის ბედი გადაწყვიტა ურუგვაელთა სასარგებლოდ. მატჩის 116-ე წუთზე კუბილამ აუტში გასული ბურთი შემოაბრუნა მინდორზე. საბჭოთა გუნდის მცველებმა და მეკარე კავაზაშვილმა შეწყვიტეს ბრძოლა, კუბილამ ამასობაში ბურთი გადასცა ესპარაგოს, რომელმაც თავით გაგზავნა იგი მეტოქის კარში. კავაზაშვილის ნახტომი ამაოა, ხოლო მცველები გამოთიშული არიან ბრძოლას...

დასასრული. იხ. „ლელო“ №№ 11, 13, 16, 18.



ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐ

ᲘᲛᲔᲓᲘᲐᲜᲘ ᲡᲢᲐᲠᲢᲘ

გუშინწინ საბჭოთა ქვეყნის ოთხ ქალაქში დაიწყო II ჯგუფის კალათბურთელ ქალთა საკავშირო პირველობა. ტურნირის მონაწილე 16 გუნდი ასპარეზობის პირველ ეტაპზე გამოავლენს იმ 8 კოლექტივს, რომლებმაც შემდგომში უმაღლეს ლიგაში გადასვლის უფლებისთვის უნდა იბრძოლონ.

თბილისის ჯგუფში გამოდიან საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის, ნოვოსიბირსკისა და ვოლგოგრადის „დინამოს“, აგრეთვე, ტაშკენტის „მეხნატის“ კალათბურთელები. აღსანიშნავია, რომ პირველი სამი კოლექტივი სხვადასხვა დროს უმაღლეს ლიგაში თამაშობდა. ცხადია, ისინი სხვებზე მეტი მონდომებით იბრძვიან, რათა უძლიერესთა შორის დაიბრუნონ ადგილი.

პირველ კალენდარულ დღეს არავითარი მოულოდნელობა არ მოჰყოლია. ნოვოსიბირსკელებმა დამაჯერებლად მოუგეს ვოლგოგრადელ თანაკლუბელებს — 77:62. (33:24). საინტერესოა ითქვას, რომ ვოლგოგრადელმა კალათბურთელებმა მეტოქეს წინააღმდეგობა მხოლოდ შეხვედრის დასაწყისში გაუწიეს. 9:10 — ეს იყო მათი ყველაზე დიდი წარმატება ამ მატჩში. შემდგომში ნოვოსიბირსკის გუნდმა ხელთ იგდო ინიციატივა და ბრძოლას სასურველი მიმართულება მისცა. გამარჯვებულთაგან ყველაზე შედეგიანი იყო დანილოვა (18 ქულა), დამარცხებულთა შორის — ნოვიკოვა (19).

კიდევ უფრო იოლი გამარჯვება იზეიმა თბილისის გუნდმა ტაშკენტის „მეხნატთან“ შეხვედრაში — 67:33 (32:23). 28 ქულით იმ გუნდის დამარცხება, სადაც სალიმოვა-პროკოპენკო თამაშობს (მისი სიმაღლეა 201 სანტიმეტრი), მართლაც დიდი გმირობაა. თბილისელთა წარმატება, პირველ ყოვლისა, მეტოქის ცენტრალური თავდამსხმელის წინააღმდეგ კარგად გააზრებულმა ტაქტიკამ განაპირობა. პროკოპენკოს უვნებელყოფა ხან რუსკინას ჰქონდა დავალებული, ხან კი ტრუშკინას. ერთმაც და მეორემაც ოსტატურად გაართვეს თავი ამოცანას და მეტოქის ეფექტურობა მინიმუმამდე დაიყვანეს: პროკოპენკომ ამ მატჩში თავის გუნდს მხოლოდ 8 ქულა შესძინა, იმ დროს, როცა თბილისელთა დუეტის ერთობლივი ცდა 20 მეტად საჭირო ქულით განისაზღვრა.

მატჩის ბედი ფაქტიურად მეორე ტაიმის დასაწყისში გადაწყდა. სპი-ს პირველი ტაიმის შემდეგაც ჰქონდა რეზერვში მთელი 9 ქულა, მაგრამ 25-ე წუთისთვის სხვაობამ უკვე 21 ქულას მიაღწია. 12 ქულა 4 წუთში — ეს იყო შედეგი თავბრუდამხვევი შტურმისა, რომელმაც მორალურად გატეხა მეტოქე და ერთბაშად გადაწყვიტა ბრძოლის ბედი. ტაშკენტელი კალათბურთელები მატჩის ბოლომდე გონს ვერ მოვიდნენ.

ნ. ახვლედიანი.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲬᲠᲔ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ

გუშინ მოსკოვში ცსკა-სა და სოფიის „აკადემიკის“ კალათბურთელ ვაჟთა გუნდების მატჩით დაიწყო ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების ნახევარფინალის მეორე წრე.

როგორი შთაბეჭდილება დატოვეს გუნდებმა საპატიო ჯილდოსთვის ბრძოლის პირველ ეტაპზე? შეგახსენებთ, რომ ყოველ გუნდთან შინ და სტუმრად ჩატარებული შეხვედრები ერთ მატჩად ითვლება (მხედველობაში მიიღება ორივე მატჩის საერთო შედეგი). „ა“ ჯგუფში აბსოლუტურად საუკეთესო შედეგი აქვს საპატიო ჯილდოს შარშანდელ მფლობელს — ვარესეს (იტალია) „ინისს“, რომელმაც ორივე ბრძოლა მოუგო პრაღის „სლავიას“. ლიუბლიანის „ოლიმპიამ“ დიდი გაჭირვებით სძლია ანტიბის (საფრანგეთი) „ოლიმპიკს“. იუგოსლაველებმა მეტოქე შინ 8 ქულის უპირატესობით დაამარცხეს. ფრანგებმა საკუთარ მოედანზე რევანში აიღეს, მაგრამ, ვინაიდან ანგარიშში სხვაობა მხოლოდ 7 ქულა იყო, საერთო გამარჯვების მისაღწევად მათ არ ეყოთ ორად-ორი ქულა (ბურთების თანაფარდობის შემთხვევაში მეორე მატჩში დამატებითი დრო დაინიშნებოდა). მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ წინ ჯერ კიდევ 2 წრეა (ანუ 4 შეხვედრა), აუტსაიდერებსაც აქვთ მდგომარეობის გამოსწორების და, მაშასადამე, საპატიო ჯილდოსთვის ბრძოლის საშუალება.

აი, როგორ გამოიყურება სატურნირო ცხრილი „ა“ ჯგუფში პირველი წრის შემდეგ:

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
„ᲘᲜᲘᲡᲘ“ (იტალია)	1	1	0	183—150	1
„ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲐ“ (იუგოსლავია)	1	1	0	156—155	1
„ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲙᲘ“ (საფრანგეთი)	1	0	1	155—156	0
„ᲡᲚᲐᲕᲘᲐ“ (ჩეხოსლოვაკია)	1	0	1	150—183	0

„ბ“ ჯგუფის ტურნირსაც ორი ლიდერი ჰყავს: ცსკა და სოფიის „აკადემიკი“. მაგრამ ბულგარელები სატურნირო ცხრილში I ადგილზე აღმოჩნდნენ, ვინაიდან მათ მოსკოვის არმიელებზე უკეთესი ბალანსი აქვთ. თუმცა ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ სსრ კავშირის ჩემპიონის მეტოქე მადრიდის „რეალი“ იყო, გუნდი, რომელიც ბევრჯერ ფლობდა საპატიო თასს, ხოლო „აკადემიკს“ შედარებით სუსტი მეტოქის (ლიეჟის „სტანდარდი“) წინააღმდეგობის დაძლევა მოუხდა.

საბჭოთა კალათბურთელების წარმატებას კიდევ უფრო დიდ ფასს აძლევს ის გარემოება, რომ „რეალი“ შინ თითქმის არ მარცხდება და მისი პირველი წრის წარუმატებლობა რაღაც საგანგებო შემთხვევას უნდა მივაწეროთ.

„ბ“ ჯგუფის გუნდები გათამაშების მეორე წრეს ასეთი შედეგებით ხვდებიან:

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
„ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲘ“ (ბულგარეთი)	1	1	0	202—156	1
ᲪᲡᲙᲐ (სსრ კავშირი)	1	1	0	133—124	1
„ᲠᲔᲐᲚᲘ“ (ესპანეთი)	1	0	1	124—133	0
„ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲓᲘ“ (ბელგია)	1	0	1	156—202	0

● **ᲑᲠᲘᲐᲜᲡᲙᲘ**, 26 იანვარი. ადგილობრივი სპორტკლუბის „დესნის“ მანეჟში დაიწყო „ტრუდის“ მძლეოსანთა შეჯიბრება, რომელშიც კარგ შედეგს მიაღწია 22 წლის ბრიანსკელმა ვ. კოზლოვმა. იგი 214 სმ სანტიმეტრზე გადებულ თამასას გადაევლო, რაც მეორე შედეგია წლეულს სსრ კავშირში (მანამდე ევროპის ჩემპიონმა ვ. გავრილოვმა მოსკოვში 216 სმ სიმაღლე გადალახა). აი, სხვა შედეგებიც, რომლებიც იანვრისთვის საკმაოდ კარგ მაჩვენებლებად უნდა მივიჩნიოთ. ბრიანსკელმა ვ. ბალაშოვამ 50 მ 6,2 წამში გაირბინა; ვაჟთა შორის ამ მანძილზე ერთბაშად სამმა მძლეოსანმა აჩვენა ერთნაირი დრო — 5,5 წამი. ესენი არიან ნოვოსიბირსკელი ა. მაგაევი, კრასნოდარელი ვ. მალიშევი და კალინინელი ვ. მოიკო. შეჯიბრებაში რსფსრ-ს 36 ოლქისა და 21 სპორტკლუბის გუნდები მონაწილეობენ. სხვათა შორის, როსტოვის ოლქის ღირსებას იცავს პლანეტის ყველაზე ღონიერი ადამიანი — ძალოსნობაში მსოფლიო ჩემპიონი და რეკორდსმენი ვ. ალექსეევი. იგი ბირთვის კვრაში იასპარეზებს.

ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲮᲣᲛᲠᲝᲑᲐ

ᲕᲘᲡ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲒᲐᲮᲓᲔᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ?

თითქოს გუშინ ვზეიმობდით პირველი საბჭოთა (საერთოდ კი მეექვსე) მსოფლიო ჩემპიონის დაბადებას. დღეს „მეფობს“ საბჭოთა ჭადრაკის უკვე მეხუთე წარმომადგენელი. ჩემპიონები ისე მომრავლდნენ, რომ უკვე პატარა სტატისტიკური ანალიზიც შესაძლებელი გახდა. ამასთან, რა თქმა უნდა, სტეინიცს მსოფლიო ჩემპიონად ჩავთვლით არა იმ დღიდან, როცა იგი ოფიციალურად გამოაცხადეს (1886 წელს ცუკერტორტთან გამარჯვების შემდეგ), არამედ 20 წლით ადრინდელი თარიღიდან, როცა მან დაამარცხა ანდერსენი და, ფაქტიურად, მსოფლიოს პირველი ჩემპიონი გახდა.

ამრიგად...

მსოფლიო ჩემპიონი არავინ გამხდარა 36 წლის ასაკზე გვიან. მართალია, ეს ეხება „მეფედ პირველად კურთხევას“. რაც შეეხება მატჩ-რევანშებს, ალიოხინმა ეს შეჯიბრება 45 წლისამ მოიგო, ხოლო ბოტვინიკმა — 47 და 50 წლის ასაკში.

„მეფედ კურთხევისთვის“ ყველაზე შესაფერი ასაკია 32-დან 36 წლამდე, რაც ათიდან შვიდ შეხვედრაში დამტკიცდა. ოდნავ ახალგაზრდა იყო სტეინიცი. მხოლოდ ტალმა და ლასკერმა ჩაიდინეს გმირობა—პირველმა 25 წლის ასაკამდე მიაღწია ჩემპიონობას, მეორემ — ოდნავ დაგვიანებით.

როგორი იქნება „ასაკობრივი ცენზის“ თვალსაზრისით მსოფლიო ჩემპიონთან მატჩის პრეტენდენტი 1972 წლისთვის?

საბჭოთა პრეტენდენტები უცხოელ კოლეგებზე საგრძნობლად უფროსები არიან. იმ დროისთვის გელერი 47 წლისა იქნება, ტაიმანოვი — 46, პეტროსიანი დაახლოებით 43 წლისა, ხოლო კორჩნოი 41 წლამდე. მაშასადამე, „ტრადიციის“ დაურღვევლად წარმატების ყველაზე მეტი შანსი პეტროსიანს აქვს, რომელიც უკვე იყო მსოფლიო ჩემპიონი, მან შეუძლია წაბაძოს ალიოხინსა და ბოტვინიკს.

კრიტიკულ ასაკს გადააბიჯებენ ლარსენი და ულმანი (ისინი 37-37 წლისა იქნებიან), ხოლო ჰიუბნერს ერთი წელი დააკლდება. ამ დროს მხოლოდ 29 წლის ფიშერი აღმოჩნდება პერსპექტიული საჭადრაკო ასაკის ზონაში.

ამრიგად, თუ „ტრადიცია“ კანონად მივიღეთ, მაშინ პრეტენდენტთა მატჩების მოგების შემთხვევაში მსოფლიო ჩემპიონის წოდების მოპოვების იმედი უნდა ჰქონდეთ მხოლოდ პეტროსიანსა და ფიშერს. სხვებს უფრო ძნელი და საპატიო ამოცანა აქვთ დასახული: უნდა დაამარცხონ არა მხოლოდ სამი პრეტენდენტი, არამედ საუკუნეობრივი „ტრადიციაც“.

ლ. დედიულინი.

სამთომოთხილამურეთა შეჯიბრებების დროს ხშირად ხდება გაუთვალისწინებელი შემთხვევები. მსოფლიო თასის წლევანდელ გათამაშებაში, მაგალითად, ხელი მოეცარა ტურნირის ლიდერს, თასის შარშანდელ მფლობელს ფრანსუაზ მაკშის (საფრანგეთი): სპეციალურ სლალომში იგი კარის გამოტოვებისთვის შეჯიბრებიდან მოიხსნა. ტურნირს სათავეში მოექცა 17 წლის ავსტრიელი ა. პრიოლი, მაგრამ მაკში იმედს არ კარგავს: ფრანგმა სპორტსმენმა შარშანდელი გათამაშების ერთ ეტაპზეც იწვნია მარცხი, მაგრამ საბოლოოდ საპატიო პრიზი მაინც მოიგო.

ამ სურათებზე სწორედ მაკშის მარცხის მომენტია აღბეჭდილი.

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲙᲕᲚᲐᲕ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲗᲐ ᲗᲐᲡᲖᲔ

ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ოთხი სეზონის განმავლობაში ბრაზილიელები უარს აცხადებდნენ მონაწილეობა მიეღოთ სამხრეთ ამერიკის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში.

მაგრამ ამ „ამაყი იზოლაციის“ პოლიტიკა შეწყდა. ბრაზილიის სპორტული კონფედერაციის გადაწყვეტილებით, ამ ქვეყნის უძლიერესი გუნდი კვლავ ითამაშებს სამხრეთ ამერიკის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე. ბრაზილიიდან ჩემპიონთა თასზე გამოვა ე. წ. „ტაკა და პრადას თასზე“ გამარჯვებული კოლექტივი.

„ტაკა და პრადას თასი“ ტრადიციული შეჯიბრებაა. აქ გამოდის გუანაბარის (რიო-დე-ჟანეიროს) შტატის პირველი 5 კოლექტივი, ამდენივე გუნდი სან-პაულოდან, 2-2 — პორტო-ალეგრესა და მინას ჟერაისიდან, თითო — პერნამბუკეს, ბაიასა და პარანის შტატებიდან.

ᲪᲮᲔᲚᲘ [illegible]

ᲠᲝᲪᲐ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲓᲐᲡᲐᲑᲔᲭᲓᲐᲓ ᲛᲖᲐᲓ ᲘᲧᲝ... 19 45

◆ **ᲑᲔᲕᲔᲠᲕᲘᲘᲙᲘ**, 27 იანვარი. იუგოსლაველი დიდოსტატი ივკოვი სათავეში ჩაუდგა ჰოლანდიის ამ ქალაქში მიმდინარე საერთაშორისო საჭადრაკო „ხოგოვენ-ტურნირის“ ცხრილს: XII ტურში მან სძლია ვან დენ ბერგს და ახლა 8 ქულა აქვს. მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა პეტროსიანმა მესამე გამარჯვება იზეიმა, ამჯერად რეეს დააყრევინა ფარ-ხმალი. გლიგორიჩთან (იგი ლანგევეგს დაუზავდა) და ჰორტთან (მან მოუგო ანდერსონს) ერთად საბჭოთა დიდოსტატი II-IV ადგილებს იყოფს (7,5-7,5 ქულა). კორჩნოიმ დონერთან გადადო შეხვედრა, ხოლო XI ტურის დაუმთავრებელი პარტიის განახლებისას მოულოდნელად დამარცხდა რეესთან. კორჩნოის 6,5 ქულა აქვს. მას უსწრებენ შვედი ანდერსონი (7 ქულა და 1 გადადებული პარტია) და ისლანდიელი ოლაფსონი (6,5 ქულა და 2 დაუმთავრებელი შეხვედრა).

◆ **ᲚᲣᲘᲡᲕᲘᲚᲘ**, 27 იანვარი. კენტუკის შტატის ამ ქალაქში საბჭოთა მოკრივეებმა თავიანთი ამერიკული ტურნეს ბოლო, მესამე მატჩი გამართეს. სტუმრებმა კვლავ დამაჯერებლად გაიმარჯვეს — 4:1 (ასპარეზობდნენ 5 წონითი კატეგორიის წარმომადგენლები). ნიკოლაეველმა ვ. ზაპოროჟეცმა (51 კგ-მდე) ქულებით სძლია პ. ჯექსონს. სევასტოპოლელი ა. ლევიშჩევი (54 კგ-მდე) აშკარად სჯობდა რ. კარერას, მაგრამ წარბი დაუშავდა და წაგებაც მიეკუთვნა. კიეველმა ო. ტიოლკოვმა (71 კგ-მდე) გაუძლო აგრესიული კ. გრინის იერიშებს, მერე ინიციატივასაც დაეუფლა და გაიმარჯვა. მოსკოველი ო. კარატაევისა და უ. რატლიფის (81 კგ-მდე) ბრძოლა საბჭოთა სპორტსმენის თვალსაჩინო უპირატესობის გამო მეორე რაუნდში შეწყდა. ასევე ვადამდე, მეორე რაუნდში შეწყდა ერევნელი მძიმეწონოსნის კ. ხაროიანის ორთაბრძოლა ბროკსტონთან. კრივის მოყვარულები ძალიან გულთბილად შეხვდნენ სტუმრებს და მათი ოსტატობაც ღირსეულად დააფასეს — დარბაზში ხშირად გაისმოდა ტაში და აღტაცებული შეძახილები. ამრიგად, ტურნე დამთავრდა. მატჩი ლას-ვეგასში, ამხანაგური შეხვედრები დენვერსა და ლუისვილში — 3 გამარჯვება.

ᲠᲝᲪᲐ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲓᲐᲡᲐᲑᲔᲭᲓᲐᲓ ᲛᲖᲐᲓ ᲘᲧᲝ... 19 45

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა ლენინის ქ. № 14. უე 05021